# ლელო

აგვისტო. 1995 წ.
ფასი 1000 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

№30
(10941)

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

### „ობილიჩი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „დინამო“ (ბათუმი, საქართველო) 0:1 (0:0).

„ობილიჩი“: სარიჩი, ზორიჩი, არანიტოვიჩი, ნოვიჩი, ვუკჩევიჩი, ვილოდიევიჩი, ტასიჩი, რაშიჩი, ბუაჩა, შარაცი, პოპოვიჩი.

„დინამო“: ბალაძე, მალანია, შანიძე, სიჭინავა (მუჯირი), შეყრილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, უჯმაჯურიძე (ღლონტი), ტუღუში, მინდაძე.

მსაჯი — როლანდ ბეკი (ლიხტენშტეინი)

გოლი — მაჭუტაძე (70).

მატჩის შემდეგ მეტოქეებმა ერთნაირი შეფასება მიიღეს — 6-6 ქულა (რვაბალიანი სისტემით), რაც იმას ნიშნავს, რომ ძალები დაახლოებით თანაბარი იყო, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლებმა გოლის გატანის უფრო მეტი მომენტი ვერ გამოიყენეს. მაგრამ ეს ასე ხდება: გუნდი შინ უფრო თამამად თამაშობს და გამუდმებით უტევს, მით უფრო, როცა აგებს ორთაბრძოლას.

დინამოელებსაც ალბათ უკეთ შეეძლოთ თამაში, მაგრამ გზამ ისინი ერთობ მოქანცა. ბათუმიდან ბელგრადამდე მოგზაურობას სულ 21 საათი დაჭირდა (თვითმფრინავით და ავტობუსით) და ძალთა აღდგენისთვის დრო, ფაქტობრივად, აღარ დარჩა.

გამარჯვებულთაგან ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა მეკარე ბალაძემ. საერთო აღიარებით, ეს იყო 35 წლის ფეხბურთელის საუკეთესო თამაში, რომელმაც ბათუმის გუნდს, თამამად შეიძლება ვთქვათ, ისტორიული გამარჯვება მოუტანა ევროტურნირების პირველ ოფიციალურ მატჩში. გასაკვირი არ არის, რომ შინ დაბრუნებულ ფეხბურთელებს ღამის 2 საათზე მთელი ქალაქი დახვდა აეროპორტში ბატონი ასლან აბაშიძის მეთაურობით.

ობილიჩელთა მწვრთნელის ბრანკო რადოვიჩის აზრით, ჯერ არაფერია დაკარგული: „ჩვენ მოვემზადებით საფუძვლიანად, ბათუმელებს ახლა უკეთ ვიცნობთ და შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ სტუმრადაც შეგვიძლია თამაში“.

**ნუგზარ ჯუღელი**
სპეციალურად „ლელოსთვის“

იხ. მე-4 გვ.

## ექსპრეს-ინფორმაცია

22 აგვისტოს უეფას თასის გათამაშების განმეორებით მატჩს „სამტრედიასა“ და „ვარდარს“ (მაკედონია) შორის იმსაჯებს პოლონელ მსაჯთა ბრიგადა ვოიცეხ რუდის მეთაურობით, ხოლო 24 აგვისტოს თასების მფლობელთა თასის შეხვედრას ბათუმის „დინამოსა“ და ფ. კ. „ობილიჩს“ (იუგოსლავია) შორის გაუძღვებიან შვეციის წარმომადგენლები (არბიტრი ლეიფ სანდელი). ორივე მატჩი ბათუმში გაიმართება. ამ შეხვედრებზე უეფას დელეგატად დანიშნულია შვეიცარიელი ედგარ ობერტიუფერი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### I ჯგუფი, II ტური

„ეგრისი“ (სენაკი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 0-2,
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 3-0
„ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-2
„კახეთი“ (თელავი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0-2,
„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2-1,
„სიონი“ (ბოლნისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-2.

ამ დღესვე უნდა გამართულიყო კიდევ ორი შეხვედრა. მატჩი „დინამო“ (თბილისი) — „სამტრედია“ (სამტრედია) ამ გუნდების ევროტურნირებში მონაწილეობის გამო 30 ნოემბერს შედგება. ამავე მიზეზით ბათუმელები სტუმრად „დურუჯთან“ მოგვიანებით, 19 აგვისტოს ითამაშებენ.

ორი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ ფოთის „კოლხეთი-1913“-ის, ქუთაისის „ტორპედოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ საფეხბურთო კლუბები. აღსანიშნავია, რომ ნათამაშევ 12 კალენდარულ მატჩში არც ერთი არ დამთავრებულა ფრედ.

## ჰაიკე დრეჰსლერი: მე მსოფლიო მაღიარებს, გერმანელების გული კი ვერ მოვიგე



სურათზე: ჰ. დრეჰსლერი

ოლიმპიურ ჩემპიონს სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის ჰაიკე დრეჰსლერს მიაჩნია, რომ თანამემამულეები სოცრად არაობიექტურად და უსამართლოდ ექცევიან მასაც და აღმოსავლეთ ევროპიდან მოსულ ყველა გერმანელს. ამ მოსაზრებას ცნობილი მძლეოსანი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს ყოველკვირეულ „სპორტ-ბილდის“ კორესპონდენტთან საუბარში.



● **ფრაუ დრეჰსლერ! თქვენ დღემდე გადანაშაულებენ იმაში, რომ მაღალი სპორტული შედეგების ჩვენების მიზნით სისტემატურად იღებდით დოპინგს?-**

— მსგავსი განცხადებები დიდი ხანია მიშლის ნერვებს. მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა გერმანელები თავს დაანებებენ ერთმანეთის ლაფში ამოსვრას. უმჯობესია წინ გაიხედონ და მომავალზე იფიქრონ. წარსულის ქექვა არ მოგვიტანს არაფერ სასიკეთოს. შეიძლება უსასრულოდ ლაპარაკი იმაზე, თუ რა მძიმე ცხოვრება გვქონდა კომუნისტების დროს, მაგრამ რას უშველის ეს? ჩემი მწვრთნელი და მამამთილი ერიხ დრეჰსლერი ცილისმწამებლებმა იმდენად გამოიყვანეს წონასწორობიდან, რომ სიტყვა გერმანიის გაგონებაც აღარ სურს, მე ასე მესმის: არაფერი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, თუ სად იყო შენი სახლი. ყველა გერმანელი თანაბარია. სამწუხაროდ, ეს მარტივი ჭეშმარიტება ყველას როდი ესმის. და რაც ყველაზე უფრო ცუდია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება. ვფიქრობ, თანხმობაში გერმანელთა შემდეგი თაობა იცხოვრებს მხოლოდ.

● **ხომ არ გინდათ იმის თქმა, თითქოს ბავარიაში რომ გეცხოვრათ, უფრო ბედნიერი იქნებოდით?**

— ყოველ შემთხვევაში, ამდენი თავისმართლება არ დამჭირდებოდა. ხალხსაც უფრო ადვილად დავაჯერებდი, რომ დოპინგი არასდროს მიმიღია. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ — თავი დამანებონ!

● **გიცდიათ თუ არა შეგეცვალათ მაყურებლების დამოკიდებულება თქვენდამი?**

— მეგობრებმა მირჩიეს მიმემართა რომელიმე სააგენტოსთვის, რომელიც ჩემი იმიჯისთვის იზრუნებდა. ამ საქმეში პირველი ნაბიჯი სპონსორის პოვნა იყო. ისე კი გულით მინდა დავუმტკიცო გერმანელებს, რომ დრეჰსლერს ხასიათში მეტი დადებითი აქვს.

● **სულ მალე ალბათ, ახალი ადამიანის დაბადების მოწმენი გავხდებით?**

— არავითარ შემთხვევაში. დავრჩები იმად, რაც ვარ. საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავდი, ასე ერთი ხელის მოსმით რომ შემეცვალა შეხედულებები. მე ვიბრძვი მხოლოდ იმისთვის, რომ აღსდგეს სამართლიანობა და დავრჩე გერმანელთა თვალში დიდ

იხ. მე-4 გვ.

## ევროპის სტადიონებზე განახლდა კონტინენტის 1996 წლის ჩემპიონატის შეხვედრები ქვეჯგუფებში

გულშემატკივრებს ვთავაზობთ ცხრილებსა და კალენდარს



## „ლელო“ — გულშემატკივრებს!

ფეხბურთელთა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები განახლდა. ტურს გამოტოვებენ მხოლოდ VII ჯგუფის წარმომადგენლები და მათ შორის ჩვენი ქვეყნის ნაკრები.
მერე ჩემპიონატის მონაწილეებს შესვენება ექნებათ. თამაშებს ისინი განაახლებენ 3 სექტემბერს (გაიმართება ორი შეხვედრა), ტურის მთავარი ბრძოლები კი 6 სექტემბრს მოეწყობა — 21 შეხვედრა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს გერმანიის გუნდი.

| | VII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბულგარეთი | | 3-2 | 2-0 | | 4-1<br>3-0 | 3-0<br>3-1 | 18-4 | 18 |
| 2 | გერმანია | 2-3 | | 2-0 | 2-1<br>2-1 | 3-0 | 1-1 | 12-6 | 13 |
| 3 | საქართველო | 0-2 | 0-2 | | 1-0<br>2-0 | 0-1 | 5-0<br>1-0 | 9-5 | 12 |
| 4 | ალბანეთი | | 1-2<br>1-2 | 0-1<br>0-2 | | 3-0<br>3-2 | 0-2 | 8-11 | 6 |
| 5 | მოლდოვა | 1-4<br>0-3 | 0-3 | 1-0 | 0-3<br>2-3 | | 3-2 | 7-18 | 6 |
| 6 | უელსი | 0-3<br>1-3 | 1-1 | 0-5<br>0-1 | 2-0 | 2-3 | | 6-16 | 4 |

### გათამაშების კალენდარი

6. 09. გერმანია — საქართველო
უელსი — მოლდოვა
ალბანეთი — ბულგარეთი
7. 10. ბულგარეთი — ალბანეთი
8. 10. გერმანია — მოლდოვა
11. 10. უელსი — გერმანია
საქართველო — ბულგარეთი
15.11. გერმანია — ბულგარეთი
მოლდოვა — საქართველო
ალბანეთი — უელსი

### VII ჯგუფში გატანილი ყველა გოლი

ბულგარეთი — 18. სტოიჩკოვი — 7, კოსტადინოვი — 5, ბალაკოვი — 3, პენევი — 2, ივანოვი — 1.
გერმანია — 12. კლინსმანი — 6, კირსტენი — 2, მათეუსი — 2, ჰერლიხი — 1, შტრუნცი — 1.
საქართველო — 9. ქეცბაია — 3, შ. არველაძე — 3, ქინქლაძე — 2, გოგრიჭიანი — 1.
ალბანეთი — 8. კუშტა — 3, ზმიანი — 1, რაკლი — 1, კაცაი — 1, ბელაი — 1, ვატა — 1.
მოლდოვა — 7. კლეშჩენკო — 2, ოპრია — 1, ამელოუსი — 1, სეკუ — 1, პოგორელოვი — 1, კურტიანუ — 1.
უელსი — 6. სანდერსი — 2, კოულმენი — 1, გიგსი — 1, სპიდი — 1, ბლეიკი — 1.

### სნაიპერები

სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 7
კლინსმანი (გერმანია) — 6
კოსტადინოვი (ბულგარეთი) — 5
ქეცბაია (საქართველო) — 3
შ. არველაძე (საქართველო) — 3
ბალაკოვი (ბულგარეთი) — 3
კუშტა (ალბანეთი) — 3
ქინქლაძე (საქართველო) — 2
კირსტენი (გერმანია) — 2
კლეშჩენკო (მოლდოვა) — 2
მათეუსი (გერმანია) — 2
სანდერსი (უელსი) — 2
პენევი (ბულგარეთი) — 2

დანარჩენმა თვრამეტმა ფეხბურთელმა გაიტანა თითო გოლი.

იხ. მე-3 გვ.

## რა ხდება ქვეყანაზე

● მძიმედ დაშავდა ლეგენდარული გერმანელი მთამსვლელი რეინჰოლდ მესნერი, კაცი, რომელსაც დაპყრობილი აქვს რვაათასიანი მწვერვალი. ექიმების განცხადებით მან ორ ლიტრამდე სისხლი დაკარგა და სრული გამოჯანმრთელების შემდეგაც ვეღარ შეძლებს მთებში სიარულს. ალბათ ბედის ირონიაა, რომ თავისი ბინის გასაღები სხვაგან დარჩა და მეორე სართულის კედლით აპირებდა ფანჯარაში გადაძრომას. სწორედ ამ დროს დაკარგა წონასწორობა და გადმოვარდა...

● გავრცელდა ხმები, რომ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი სპორტიდან წასვლას აპირებს. მიზეზია ზურგის ქრონიკული ტკივილი, რომელიც მთელი დატვირთვით ვარჯიშის საშუალებას არ აძლევს. გერმანულ „შპიგელს" ახალი მონაცემები მოჰყავს ჩოგბურთელისა და საგადასახადო სამსახურის გართულებული ურთიერთობიდან. ჟურნალის განცხადებით გრაფი ბოლო ოთხი წლის მანძილზე არ ავსებდა დეკლარაციას შემოსავლის თაობაზე. ამ ხნის განმავლობაში მან დაახლოებით 25 მილიონი დოლარი მიიღო, ხაზინაში კი მხოლოდ 5 მილიონი შეიტანა. არადა, გერმანიაში მოქმედი კანონის თანახმად შემოსავლის დაახლოებით ნახევარი სახელმწიფოსთვის უნდა გადაეხადა. იმავე „შპიგელის" ინფორმაციით გრაფის ქონება 71 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

● მას შემდეგ, რაც აშშ-ს კალათბურთელთა ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლენი უილკინსმა გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, მოხდა გარკვეული ცვლილებები. „ოცნების მესამე გუნდმა" საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: ფორვარდები — კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი"), სკოტი პიპენი („ჩიკაგო ბულზი"), გრანტ ჰილი („დეტროიტ პისტონსი"), გლენ რობინსონი („მილუოკი ბაქსი"); ცენტრალური თავდამსხმელები — შაკილ ო'ნილი („ორლანდო მეჯიკი"), ხაკიმ ოლაჯოუვონი („ჰიუსტონ როკიტსი"), დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო სპერსი); მცველები — ჯონ სტოკტონი („იუტა ჯაზი"), რეჯი მილერი („ინდიანა პეისერსი"), ანფერნი ჰარდუეი („ორლანდო მეჯიკი"). როგორც ხედავთ, შემადგენლობაში არ არიან მაიკლ ჯორდანი და ჩარლზ ბარკლი. ჯორდანმა თვითონ თქვა უარი ოლიმპიურ ნაკრებში თამაშზე გარკვეული მოსაზრებებით, ბარკლის მდგომარეობა კი ჯერჯერობით გაურკვეველია. საგზურებს ორ დარჩენილ ადგილზე ალბათ გაისისთვის გაანაწილებენ.

● სანქტ-პეტერბურგში თავისი სახლის სადარბაზოში ტტს სისტემის პისტოლეტის შვიდი გასროლით დაცხრილეს „საბრძოლო ხელოვნებათა აკადემიის" ხელმძღვანელი, რუსეთის ხაპკიდოს ფედერაციის პრეზიდენტი და კორეის კულტურული ცენტრის შეფი ვიაჩესლავ ცოი. როგორც გაირკვა, მკვლელი მას ელოდებოდა ბნელ სადარბაზოში პირველსა და მეორე სართულებს შორის ბაქანზე.

● ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ინდივიდუალურ რბოლაში, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ერთსაათიან რბოლაში, ინგლისელი ველოსიპედისტი კრის ბორდმენი ალბათ ვერ გაემგზავრება კოლუმბიაში მსოფლიო ჩემპიონატზე. საქმე ის გახლავთ, რომ ბორდმენი წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" პროლოგში ასპარეზობისას დაეცა და მიიღო სერიოზული ტრავმა, რომელიც მთლიანად ჯერ ვერ მოირჩინა.

● ბულგარეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ფედერაციის პრეზიდენტის ვასილ ილიევის მკვლელობის შემდეგ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას რამდენიმე კანდიდატი აცხადებდა. მაგრამ პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა ყოფილმა სპორტსმენმა და ამჟამად საკმაოდ გავლენიანმა ბიზნესმენმა, 36 წლის დმიტარ ჯამოვმა.

# ედი მერქსი — ინდურაინის შესახებ



მსოფლიო ველოსპორტში ედი მერქსზე უფრო ტიტულოვანი სპორტსმენი არავინაა. მას მოგებული აქვს „ვუელტა" (1979), „ჯირო დ'იტალია (1968, 70, 72, 73 74), „ტურ დე ფრანსი" (1969, 70, 71, 72, 74), ყველა კლასიკური ერთდღიანი რბოლა, მათ შორის მილან-სან-რემო (ეჭვსჯერ) და პარიზი — რუბე (სამჯერ). იყო მსოფლიოს რეკორდსმენი ერთსაათიან რბოლაში (11 წლის მანძილზე) და ოლიმპიური ჩემპიონი პატრიკ სერკიუსთან წყვილში. მსოფლიო ველოსპორტის დღევანდელი ლიდერი მიგელ ინდურაინი, ცხადია, ასეთი წარმატებებით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ ცდილობს მიუახლოვდეს სახელოვანი ველოსიპედისტის შედეგებს, ყოველ შემთხვევაში „ტურ დე ფრანსში" წარმატებებით იგი დაეწია მერქსს — ერთიცა და მეორეც ამ ყველაზე პრესტიჟული რბოლის ჩემპიონია ხუთ-ხუთჯერ, თანაც ინდურაინმა გამარჯვებები მოიპოვა ზედიზედ.

წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" წინ სახელოვან ედი მერქსს ინტერვიუ ჩამოართვეს სავარაუდო გამარჯვებულთა შესახებ:

● **მოიგებს თუ არა ინდურაინი ამ შეჯიბრებას მეხუთედ?**

— არ არსებობს მიზეზი, რომ ამაში ეჭვი შევიტანოთ.

● **როგორ ფიქრობთ, ეს იქნება მისი ბოლო წარმატება?**

— ინდურაინს თავისუფლად შეუძლია კიდევ ორი „ტურ დე ფრანსის" მოგება.

● **ვინ მიგაჩნიათ მის კონკურენტებად?**

— ჯერჯერობით ესპანელს არა ჰყავს კონკურენტი.

● **რამ შეიძლება შეუშალოს ხელი გამარჯვებაში?**

— თუ რბოლა შეწყდა რაიმე მიზეზით, ვთქვათ ომის გამო.

● **რაშია ინდურაინის ძალა?**

— მას აქვს ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები და ველოსიპედისტისათვის საკმარისი ჭკუა.

● **იგი თვითონ აგებს თავის ტაქტიკას თუ მწვრთნელი უგეგმავს?**

— ინდურაინის ტაქტიკურ ჩანაფიქრს ბრწყინვალედ ასრულებენ მისი პარტნიორები „ბანესტოდან".

● **თქვენი აზრით, როდის იგებს იგი რბოლას?**

— დაყოფილი სტარტით რბოლა მისი კოზირია. აქ იგი შეუდარებელია.

● **პროგრამიდან რომ ამოიღონ „დაყოფილი სტარტი"?**

— მაშინ რბოლის ბედი მთებში გადაწყდება.

● **თქვენი აზრით, უახლოეს ხანებში ვინ გაუწევს მას სერიოზულ კონკურენციას?**

— აქამდე მეგონა, რომ მისი დამარცხება შეეძლო ტონი რომინგერს. ახლა დავრწმუნდი, რომ მას კონკურენციას გაუწევს და საბოლოოდ დაამარცხებს მხოლოდ... ასაკი.

**სურათზე: 29 წლის ლეგენდარული ედი მერქსი „ტურ დე ფრანსში" მეხუთე გამარჯვების შემდეგ. 1974 წელი.**

## „ტურ დე ფრანსის" ექო

ყველაზე ბევრი პრიზი და ფულადი პრემია ახლახან დამთავრებული „ტურ დე ფრანსის" შედეგების მიხედვით ერგო გამარჯვებულ გუნდს — „ონსეს". ამ კლუბის ველოსიპედისტებმა მოიგეს 3 ეტაპი (ბრიუნელი, ცუ-ლე, ჟალაბერი), ამასთან, ცულემ რბოლის საერთო ჩათვლაში II ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, ჟალაბერი გახდა ყველაზე აქტიური ველოსიპედისტი, „ონსემ" კი გუნდური გამარჯვება მოიპოვა. ყველაფერმა ამან გამოხატულება ჰპოვა ფრანკებში და შეადგინა 2.799.850. პრემიების კონკურსში მეორე ადგილი ხვდა „ბანესტოს" — 2.674.100, თუმცა, ამ თანხის ლომის წილი (2,2 მილიონი ფრანკი) ხვდა მიგელ ინდურაინს, როგორც გამარჯვებულს პირად ჩათვლაში. მესამე ადგილზეა „გევისი" (ამ გუნდის ღირსებას იცავდა დანიელი ველოსიპედისტი ბიარნე რიისი — III ადგილი) — 1.477.500. ყველაზე მცირე პრემია — 36.000 ფრანკი „აკის" (მონაკო) გუნდს ერგო.

როგორც გაირკვა, ყველაზე ემოციური გულშემატკივრები ჰყოლია „ტურ დე ფრანსის" სამთო ეტაპების „მეფეს" რიშარ ვირანკს (მან, ამავე დროს, ორი ეტაპი მოიგო), რომელმაც რბოლის მსვლელობაში და მისი დამთავრების შემდეგ 2190 მისალოცი ბარათი და დეპეშა მიიღო. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე გავიდა მიგელ ინდურაინი — 2008, მესამეზე — როლან ჟალაბერი — 1689.

წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" ტრიუმფატორი მიგელ ინდურაინი შინ ჩასვლის შემდეგ სამკაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ესპანეთის სახელმწიფო მდივანმა სპორტის საკითხებში რაფაელ კორტეს ელეირამ გამარჯვებულ ველოსიპედისტს დაავალა ატლანტის ოლიმპიადის გახსნაზე ქვეყნის დელეგაციის მედროშეობა. ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალი, როგორც ცნობილია, 1996 წლის 19 ივლისს გაიმართება, იმ წლის „ტურ დე ფრანსი" კი 21 ივლისს მთავრდება. არადა, ინდურაინს გადაწყვეტილი აქვს მეექვსე რბოლაში გამარჯვება და ამ პრესტიჟული შეჯიბრების აბსოლუტური რეკორდის დამყარება (ხუთზე მეტჯერ რბოლა არავის მოუგია).

**ინგა სამხარაძე,**
**აკაკი აბუსერიძე**



უსიტყვოდ...

## იონა ქოსაშვილი — ახალი სახელი საჭადრაკო სამყაროში

ჭადრაკის გულშემატკივრებმა, ალბათ ყურადღება მიაქციეს, რომ მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა პირველ ასეულში გამოჩნდა ახალი სახელი — იონა ქოსაშვილი (ისრაელი). უახლეს „რეიტინგ-ლისტში" მას მაღალი მონაცემები აქვს — 2580,50 პუნქტი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ექსტრაკლასის დიდოსტატის „ზღვრამდე", რომელიც პირობითად 2600 პუნქტია, ბევრი აღარაფერი რჩება. საინტერესოა, რომ ამ „რეიტინგლისტში" ი. ქოსაშვილი უსწრებს ისეთ განთქმულ მოჭადრაკეებს, როგორებიც არიან ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), მიხეილ გურევიჩი (ბელგია), ენრიკე მეკინგი (ბრაზილია), ანდრეი სოკოლოვი (რუსეთი), გნებავთ, ბორის სპასკი (საფრანგეთი) და ბენტ ლარსენი (დანია).

იონა ქოსაშვილი, რომელსაც შინაურები ზურაბსაც ეძახიან, ადრე ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობდა და თვალსაჩინო წარმატებითაც, ახლა კი ისრაელის ნაკრების წევრიც გახდა. ამას წინათ ჰაიფაში (ისრაელი) მოეწყო ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირი, სადაც ისრაელის ყველა უძლიერეს დიდოსტატთან ერთად თამაშობდნენ სერგეი დოლმატოვი (რუსეთი), რუსეთის ახლანდელი ჩემპიონი პეტრე სვიდლერი, სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ვლადიმერ აკოფიანი, ყოფილი ხარკოველი, ახლა კი ბელგიის ნაკრების ლიდერი მიხეილ გურევიჩი, მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის ერთ-ერთი მწვრთნელი.

და აი ასეთ ძლიერ „კამპანიაში" იონა ქოსაშვილმა, თამამად შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ ითამაშა და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, მეორე-მესამე ადგილები კი 6,5-6,5 ქულით სერგეი დოლმატოვმა და მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა, ამჟამად ისრაელის ნაკრების ლიდერმა ლეონიდ იუდასინმა გაიყვეს. საინტერესოა, რომ ქოსაშვილმა დაამარცხა იუდასინი, აკოფიანი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ლევ ფსახისი, მიხეილ გურევიჩი და მხოლოდ ერთი პარტია წააგო სვიდლერთან.

აი, რას წერდა ქოსაშვილის თამაშის შესახებ მეორე პრიზიორი დოლმატოვი: დიდ ქებას იმსახურებს ტურნირის გამარჯვებული იონა ქოსაშვილი. მის თამაშს ახასიათებს ფანტაზია, ჭადრაკის თამაშის შესაშური წყურვილი, რითაც პროფესიონალებს შორის მოყვარულის შთაბეჭდილებას სტოვებდა (ავტორი გულისხმობს იმ ამბავს, რომ ქოსაშვილი იშვიათად მონაწილეობს შეჯიბრებებში, პროფესიონალები კი განუწყვეტლივ თამაშობენ). იგი საცაა ექიმი გახდება, დიპლომს მიიღებს და სპეციალობით მუშაობას აპირებს.

**გივი გამრეკელი**

## ინფორმაცია

**9 ეტაპის** შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატს ავტოსპორტში („ფორმულა-1") ლიდერობს მიჰაელ შუმახერი (გერმანია) — **56** ქულა (მას პირველი ადგილი, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს). მომდევნო ადგილებზე არიან დემონ ჰილი (ინგლისი) — **32** ქულა და ჯონი ჰერბერტი (დიდი ბრიტანეთი) — **25** ქულა.

## ბრუნდება

მონიკა სელეში, უნგრული წარმოშობის იუგოსლავიელი, ახლა აშშ-ს მოქალაქეა. იგი სულ 21 წლისაა. ამასთან, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე შეჯიბრებებში არ მონაწილეობს. მიზეზი ცნობილია. 1993 წლის 30 აპრილს, როცა ჰამბურგში საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა და სელეში მსოფლიოს №1 ჩოგბურთელ ქალად ითვლებოდა. იგი დანით დაჭრა შტეფი გრაფის მხურვალე გულშემატკივარმა (ხულიგანმა, ფანატიკოსმა თუ უბრალოდ, ჭკუაზე მწყრალად მყოფმა) გიუნტერ პარხემ. დამნაშავეს საოცრად იოლი სასჯელი შეუფარდეს. ახლა ქვეყნიდან ქვეყანაში დასეირნობს და შტეფი გრაფს კვლავინდებურად ყვავილების გვირგვინებს უგზავნის. აი, სელეშს კი, თუმცა ყელზე ჭრილობა მალე შეუხორცდა, მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა დარჩა და ჯერჯერობით შეჯიბრებებში არ მონაწილეობს. ეს მაშინ, როცა იგი, თავის ესოდენ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სამჯერ იყო მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ქალების „რანგ-ლისტის" სათავეში: 1991 წლის 11 მარტიდან 4 აგვისტომდე, 1991 წლის 12-დან 18 აგვისტომდე (დიახ, ერთი კვირის მანძილზე) და, რაც მთავარია, 1992 წლის 9 სექტემბრიდან 1993 წლის 6 ივნისამდე. ერთი სიტყვით, სწორედ მონიკა სელეში იყო ჩოგბურთის სამყაროში №1 ჩოგბურთელი და არა შტეფი გრაფი და ამიტომაც ესოდენ უმოწყალოდ დაატოვებინეს ასპარეზი.

მონიკა სელეში სულაც არ აპირებს ჩოგბურთს გამოეთხოვოს და, ბევრსაც ვარჯიშობს. ფსიქოლოგ ჯერი მაის ცნობით „იგი ისე გრძნობს თავს, როგორც გალიაში გამომწყვდეული ფრინველი, ძალიან უნდა თამაში". მაგრამ ჯერ ვერ გადალახა ფსიქოლოგიური ჯებირი, ძალიან ნაღვლიანია, ჟურნალისტებს გაურბის, თუმცა ხანდახან მაინც გამოჩნდება ხოლმე საზოგადოებრივ ადგილებში.

სელეშის სპონსორს მარკ მაკკორმაკს მიაჩნია, რომ პირველი შეჯიბრება, სადაც მონიკა მონაწილეობას მიიღებს, ეტყობა აშშ-ს ღია ჩემპიონატი იქნება. სელეშმა, რომელიც ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტაში ცხოვრობს, უკვე დაიწყო სხვადასხვა შტატებში მოგზაურობა, სადაც მას ბეტსი ნაგელსენი (ყოფილი ჩოგბურთელი, სპონსორ მარკ მაკკორმაკის მეუღლე) ახლავს ხოლმე. მონიკა სელეში აცხადებს, რომ უჩოგბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, მაგრამ მისი ფეხი არასოდეს იქნება არა მარტო ჰამბურგში, სადაც ასე უნამუსოდ მოექცნენ, არამედ, საერთოდ, გერმანიაში.

ამას წინათ, როგორც გაუწყეთ, სელეშმა პირველი საჩვენებელი შეხვედრა ჩაატარა მარტინა ნავრატილოვასთან, რომელიც გამარჯვებით დაასრულა.

**ხათუნა ბალიაშვილი,**
**თამარ დათაშვილი**

## მოსტუმრებული და მოსასტუმრებელი

### ექვსი პირველობა ოცდაშვიდი დღის მანძილზე

ჭიდაობის საერთაშორისო კალენდარში ერთობ დატვირთული თვე იყო ივლისი. გაიმართა მსოფლიოსა და ევროპის ექვსი ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ამ ტურნირებში საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გაგაცნობთ მათი გამოსვლების შედეგებს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში (1975-76 წწ დაბადებულნი). თეირანი (ირანი), 4-7 ივლისი. საქართველო ასპარეზობდა 8 მოჭიდავით. გუნდური IX ადგილი (უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი). 68 კგ. ტარიელ მელელაშვილი (მარტყოფი, მწვრთნელები გოდერძი ჯოხაძე და მერაბ დარჩია) — 1 ადგილი; 100 კგ. მირიან გიორგაძე (თერჯოლა, მწვრთნელები ვაჟა კრავეიშვილი და შაქრო ბერძენიშვილი) — II ადგილი.

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში (1975-76). თეირანი (ირანი), 11-14 ივლისი. საქართველო ასპარეზობდა 7 მოჭიდავით. გუნდური IV ადგილი (უფროსი მწვრთნელი კობა ლოჩოშვილი). 90 კგ. გოჩა ჩიხრაძე (გორი, მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი) — II ადგილი; 62 კგ. გოდერძი ხარებავა (სოხუმი, მწვრთნელები გიგლა ხარებავა და კობა ლოჩოშვილი) — III ადგილი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის პირველობა იუნიორებში (1977-78). ვიტენი (გერმანია), 14-17 ივლისი, საქართველო ასპარეზობდა 7 მოჭიდავით. გუნდური X ადგილი (უფროსი მწვრთნელი დათო დავითაია). 130 კგ. თამაზ გოგელია (თბილისი, მწვრთნელი ალექსანდრე ჭყონია) — III ადგილი.

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის პირველობა იუნიორებში (1977-78). ვიტენი (გერმანია) 21-24 ივლისი. საქართველო ასპარეზობდა 7 მოჭიდავით. გუნდური IV ადგილი (უფროსი მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი). 74 კგ. თედო ულუმბელაშვილი (ხაშური, მწვრთნელები ბიჭიკო პაპაშვილი და ვახტანგ კვინიკაძე) — 1 ადგილი; 51 კგ. ოთარ თუშიშვილი (გორი, მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი) — II ადგილი.

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა კადეტებში (1979-80). ბუდაპეშტი (უნგრეთი) 21-24 ივლისი. საქართველო ასპარეზობდა 7 მოჭიდავით. გუნდური VI ადგილი (უფროსი მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი), 74 კგ. თამაზ ლობჟანიძე (ონი, მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი) — II ადგილი.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა კადეტებში (1979-80). ბუდაპეშტი (უნგრეთი) 27-30 ივლისი. საქართველო ასპარეზობდა 6 მოჭიდავით. გუნდური IX ადგილი (უფროსი მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი). 62 კგ. ბადრი ხასაია (თბილისი, მწვრთნელი დათო დავითაია) — II ადგილი.

წლევანდელი სპორტული სეზონი მოჭიდავეებისთვის ამით, ცხადია, არ დამთავრებულა. დარჩენილია კიდევ სამი ასპარეზობა, რომელთაგან უახლოესი გახლავთ მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში მოზრდილთა შორის (ატლანტა, აშშ). ამჟამად ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაშია ხუთი მოჭიდავე ატლანტაში იმყოფება: 52 კგ. თემურ ჯაფარიძე, 74 კგ. გიორგი მაკასარაშვილი, 82 კგ. დავით ხურცია, 90 კგ. ელდარ კურტანიძე, 130 კგ. ზაზა თურმანიძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია გია გალდავა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატს ჩეხეთი (პრაღა) უმასპინძლებს.

დაბოლოს, ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირის შესახებ (თავისუფალი ჭიდაობა), ტრადიციულად იგი თებერვლის დასაწყისში იმართებოდა, მაგრამ ამჯერად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ნებართვით ეს ტურნირი მოეწყობა 15-17 სექტემბერს, თბილისში.

# „ლელო“ — გულშემატკივრებს!

| | I ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | 0-0 | 2-1 | 1-1<br>2-1 | 3-2 | 3-0<br>4-1 | 15-6 | 17 |
| 2 | საფრანგეთი | 0-0 | | 0-0 | 0-0 | 0-0<br>4-0 | 2-0 | 6-0 | 10 |
| 3 | პოლონეთი | 1-2 | 0-0 | | 1-2<br>4-3 | 5-0 | 1-0 | 12-7 | 10 |
| 4 | ისრაელი | 1-1<br>1-2 | 0-0 | 2-1<br>3-4 | | 2-2 | 2-0 | 11-10 | 9 |
| 5 | სლოვაკეთი | 2-3 | 0-0<br>0-4 | 0-5 | 2-2 | | 4-1 | 8-15 | 5 |
| 6 | აზერბაიჯანი | 0-3<br>1-4 | 0-2 | 0-1 | 0-2 | 1-4 | | 2-16 | 0 |

| | IV ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | | 2-1 | 2-0<br>0-0 | 4-0 | 2-0<br>0-1 | 2-0 | 12-2 | 16 |
| 2 | იტალია | 1-2 | | 1-0 | 2-0 | 1-1 | 2-0<br>4-1 | 11-4 | 13 |
| 3 | ლიტვა | 0-2<br>0-0 | 0-1 | | 2-0 | 2-1<br>2-1 | | 6-5 | 10 |
| 4 | უკრაინა | 0-4<br>1-0 | 0-2 | 0-2 | | 0-0 | 3-0<br>1-0 | 5-8 | 10 |
| 5 | სლოვენია | 0-2 | 1-1 | 1-2<br>1-2 | 0-0 | | 3-0<br>3-1 | 9-8 | 8 |
| 6 | ესტონეთი | 0-2 | 0-2<br>1-4 | | 0-3<br>0-1 | 0-3<br>1-3 | | 2-18 | 0 |

| | II ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 4-1<br>1-1 | 3-0 | 2-0 | 2-1 | 2-0<br>1-0 | 15-3 | 19 |
| 2 | ბელგია | 1-4<br>1-1 | | 1-3 | 1-1<br>5-0 | 2-0 | 2-0 | 13-9 | 11 |
| 3 | დანია | 0-3 | 3-1 | | 1-1<br>1-0 | 1-1<br>4-0 | | 10-6 | 11 |
| 4 | მაკედონია | 0-2 | 1-1<br>0-5 | 1-1<br>0-1 | | 3-0 | 2-2 | 7-12 | 6 |
| 5 | კვიპროსი | 1-2 | 0-2 | 1-1<br>0-4 | 0-3 | | 0-0<br>2-0 | 4-12 | 5 |
| 6 | სომხეთი | 0-2<br>0-1 | 0-2 | | 2-2 | 0-0<br>0-2 | | 2-9 | 2 |

| | V ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | | 1-1 | | 1-0<br>4-0 | 2-0<br>5-0 | 1-0<br>2-0 | 16-1 | 19 |
| 2 | ჰოლანდია | 1-1 | | 0-0<br>1-3 | 0-1 | 4-0<br>5-0 | 4-0 | 15-5 | 11 |
| 3 | ჩეხეთი | | 0-0<br>3-1 | | 4-2 | 0-1 | 6-1<br>0-0 | 13-5 | 11 |
| 4 | ბელარუსი | 0-1<br>0-4 | 1-0 | 2-4 | | 2-0 | 1-1 | 6-10 | 7 |
| 5 | ლუქსემბურგი | 0-2<br>0-5 | 0-4<br>0-5 | 1-0 | 0-2 | | 1-0 | 2-18 | 6 |
| 6 | მალტა | 0-1<br>0-2 | 0-4 | 1-6<br>0-0 | 1-1 | 0-1 | | 2-15 | 2 |

| | III ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თურქეთი | | 1-2<br>2-1 | 2-1 | 2-2 | 5-0 | 12-6 | 10 |
| 2 | შვეიცარია | 2-1<br>1-2 | | 4-2 | 2-2 | 1-0 | 10-7 | 10 |
| 3 | შვეცია | 1-2 | 2-4 | | 2-0<br>0-1 | 1-0<br>1-1 | 7-8 | 7 |
| 4 | უნგრეთი | 2-2 | 2-2 | 0-2<br>1-0 | | 1-2 | 6-8 | 5 |
| 5 | ისლანდია | 0-5 | 0-1 | 0-1<br>1-1 | 2-1 | | 3-9 | 4 |

| | VI ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტუგალია | | 0-1 | 1-0 | 2-1 | 3-1<br>3-2 | 8-0 | 17-5 | 15 |
| 2 | ირლანდია | 1-0 | | 1-3 | 4-0<br>1-1 | 3-0 | 4-0<br>0-0 | 14-4 | 14 |
| 3 | ავსტრია | 0-1 | 3-1 | | 1-2 | 5-0 | 4-0<br>7-0 | 20-4 | 12 |
| 4 | ჩრდ. ირლანდია | 1-2 | 0-4<br>1-1 | 2-1 | | 1-0<br>1-2 | 4-1 | 10-11 | 10 |
| 5 | ლატვია | 1-3<br>2-3 | 0-3 | 0-5 | 0-1<br>2-1 | | 1-0 | 6-16 | 6 |
| 6 | ლიხტენ-შტეინი | 0-8 | 0-4<br>0-0 | 0-4<br>0-7 | 1-4 | 0-1 | | 1-28 | 1 |

| | VIII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფინეთი | | | 0-2 | 0-4<br>2-1 | 5-0<br>4-0 | 4-1<br>2-0 | 17-8 | 15 |
| 2 | რუსეთი | | | 1-1<br>0-0 | 3-0 | 3-0 | 4-0<br>7-0 | 18-1 | 14 |
| 3 | შოტლანდია | 2-0 | 1-1<br>0-0 | | 0-1 | 5-1<br>2-0 | 2-0 | 12-3 | 14 |
| 4 | საბერძნეთი | 4-0<br>1-2 | 0-3 | 1-0 | | 5-1 | 2-0 | 13-6 | 12 |
| 5 | ფარერი | 0-5<br>0-4 | 0-3 | 1-5<br>0-2 | 1-5 | | 3-0 | 5-24 | 3 |
| 6 | სან-მარინო | 1-4<br>0-2 | 0-4<br>0-7 | 0-2 | 0-2 | 0-3 | | 1-24 | 0 |

## გათამაშების კალენდარი

### I ჯგუფი

16.08 საფრანგეთი — პოლონეთი
აზერბაიჯანი — სლოვაკეთი
6.09 საფრანგეთი — აზერბაიჯანი
სლოვაკეთი — ისრაელი
პოლონეთი — რუმინეთი
11.10 რუმინეთი — საფრანგეთი
ისრაელი — აზერბაიჯანი
სლოვაკეთი — პოლონეთი
15.11 სლოვაკეთი — რუმინეთი
აზერბაიჯანი — პოლონეთი
საფრანგეთი — ისრაელი

### II ჯგუფი

16.08 სომხეთი — დანია
6.09 ბელგია — დანია
ესპანეთი — კვიპროსი
მაკედონია — სომხეთი
7.10 სომხეთი — ბელგია
11.10 დანია — ესპანეთი
კვიპროსი — მაკედონია
15.11 ესპანეთი — მაკედონია
კვიპროსი — ბელგია
დანია — სომხეთი

### III ჯგუფი

16.08 ისლანდია — შვეიცარია
6.09 შვეცია — შვეიცარია
თურქეთი — უნგრეთი
11.10 შვეიცარია — უნგრეთი
ისლანდია — თურქეთი
11.11 უნგრეთი — ისლანდია
15.11 შვეცია — თურქეთი

### IV ჯგუფი

16.08 ესტონეთი — ლიტვა
3.09 ხორვატია — ესტონეთი
6.09 იტალია — სლოვენია
ლიტვა — უკრაინა
8.10 ხორვატია — იტალია
11.10 სლოვენია — უკრაინა
ლიტვა — ესტონეთი
11.11 იტალია — უკრაინა
15.11 სლოვენია — ხორვატია
იტალია — ლიტვა

### V ჯგუფი

16.08 ნორვეგია — ჩეხეთი
6.09 ჩეხეთი — ნორვეგია
ლუქსემბურგი — მალტა
ჰოლანდია — ბელარუსი
7.10 ბელარუსი — ჩეხეთი
11.10 მალტა — ჰოლანდია
ლუქსემბურგი — ბელარუსი
12.11 მალტა — ბელარუსი
15.11 ჩეხეთი — ლუქსემბურგი
ჰოლანდია — ნორვეგია

### VI ჯგუფი

15.08 ლიხტენშტეინი — პორტუგალია
16.08 ლატვია — ავსტრია
3.09 პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია
6.09 ავსტრია — ირლანდია
ლატვია — ლიხტენშტეინი
11.10 ირლანდია — ლატვია
ავსტრია — პორტუგალია
ლიხტენშტეინი — ჩრდ. ირლანდია
15.11 პორტუგალია — ირლანდია
ჩრ. ირლანდია — ავსტრია

### VIII ჯგუფი

16.08 შოტლანდია — საბერძნეთი
ფინეთი — რუსეთი
6.09 შოტლანდია — ფინეთი
ფარერი — რუსეთი
სან-მარინო — საბერძნეთი
11.10 რუსეთი — საბერძნეთი
სან-მარინო — ფარერი
15.11 შოტლანდია — სან-მარინო
რუსეთი — ფინეთი
საბერძნეთი — ფარერი

## მცირედი სტატისტიკა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, მოგეხსენებათ, 47 გუნდი თამაშობს. ჯერჯერობით შედეგიანობით ყველაზე მეტად გამოირჩევა VI ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებმა 20 შეხვედრაში 68 გოლი გაიტანეს — ერთ მატჩში საშუალოდ 3,4 გოლი. ყველაზე დაბალი შედეგიანობით ჯერჯერობით IV ჯგუფის თამაშები აღინიშნება — 45 გოლი 20 მატჩში, ანუ საშუალოდ 2,25 გოლი ერთ შეხვედრაში.

ცალკეულ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი თავდასხმა ჰყავთ: ავსტრიას — 20 გოლი (6 მატჩში), ბულგარეთს — 18 (6), რუსეთს — 18 (6). დაცვაში საიმედო თამაშით გამოირჩევიან: საფრანგეთი — 0 (6), ნორვეგია — 1 (7), რუსეთი — 1 (6). ყველაზე სუსტი თავდასხმა ჰყავთ ლიხტენშტეინსა და სან-მარინოს — თითო-თითო ბურთი 7 მატჩში. დაცვაში ყველაზე უხეიროდ თამაშობდნენ ლიხტენშტეინის (28 გაშვებული გოლი 7 მატჩში), ფარერის კუნძულებისა (24 გოლი 7 მატჩში) და სან-მარინოს (24 გოლი 7 მატჩში) ფეხბურთელები.

და კიდევ ერთი ასეთი სტატისტიკური მონაცემი. ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირებში ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 რესპუბლიკა მონაწილეობს. ჯერჯერობით მათი სატურნირო მონაცემები ჯგუფებში დაკავებული ადგილების მიხედვით ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 18-1 | 14 |
| 3. საქართველო | 7 | 4 | 0 | 3 | 9-5 | 12 |
| 3. ლიტვა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| 4. უკრაინა | 7 | 3 | 1 | 2 | 5-8 | 10 |
| 4. ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 5. ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-16 | 6 |
| 5. მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 7-18 | 6 |
| 6. სომხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-9 | 2 |
| 6. აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |
| 6. ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 2-18 | 0 |

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● 15 წლის პატიმრობა მოელის დრეზდენის „დინამოს“ პრეზიდენტს როლფ-იურგენ ოტოს. იგი სულ ახლახან დააპატიმრეს, საქმეს იძიებს ლაიფციგის ეკონომიკურ დანაშაულობათა განყოფილება. გერმანელ ბიზნესმენს ბრალად ედება სერიოზულ მაქინაციებში მონაწილეობა, კერძოდ, სამშენებლო ფირმისა და უშუალოდ „დინამოს“ კლუბის საფინანსო საქმიანობაში მომხდარი დარღვევები, ძიება რამდენიმე თვეს გასტანს. რ.-ი. ოტოს ვექილს მიაჩნია, რომ კლიენტის ავადმყოფობის გამო შესაძლებელია საპყრობილედან მისი დროებითი განთავისუფლება.

● საფეხბურთო მინდორს კვლავ დაუბრუნდა მინსკის „დინამო-93“-ის მწვრთნელი სერგეი გოცმანოვი. მასთან ერთად მოთამაშეთა რიგებში გამოჩნდა იგორ გურინოვიჩიც, იგი დაბრუნდა ავსტრიის „ლასკ“-იდან, მხარეები ვერ შეთანხმდნენ კონტრაქტის ცალკეულ პუნქტებში. ს. გოცმანოვი და ი. გურინოვიჩი უწინ სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ.

● მენხენგლადბახის „ბორუსიიდან“ „დორტმუნდში“ გადავიდა 23 წლის ჰაიკო ჰერლახი, გერმანიის განვლილი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. გარიგება 9,5 მილიონი მარკა დაჯდა, ეს კი ბუნდესლიგის სარეკორდო თანხაა.

● მადრიდის „რეალი“ მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, ამასთან დაკავშირებით კლუბს განზრახული აქვს გაყიდოს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, კერძოდ, ჩილელი ივან სამორანი. მისი წინასწარი სავარაუდო ფასია 8 მილიონი დოლარი.

● ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მწვრთნელად იუგოსლაველი ბორა მილუტინოვიჩის ნაცვლად მიიწვიეს სტივ სემპსონი.

● გერმანიის ქალაქ მენხენგლადბახში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით, რომლის ფინალშიც ადგილობრივმა „ბორუსიამ“ დიდი ანგარიშით მოუგო ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ამსტერდამის „აიაქსს“ — 5-2. მესამე ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ინგლისის „ლივერპული“ და იტალიის „ფიორენტინა“. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1-1, დამატებითი 11-მეტრიანებით გამარჯვება წილად ხვდა „ლივერპულს“ — 3-2.

● აფრიკის თასის შესარჩევ ტურნირში მონაწილე გუნდები განაწილდნენ 7 ჯგუფად. აქ გამოვლინდა 14 გამარჯვებული — ზაირი, კამერუნი, ლიბერია, ტუნისი, განა, სიერა-ლეონე, ეგვიპტე, ალჟირი, გაბონი, ზამბია, ანგოლა, მოზამბიკი, ბურკინა ფასო, კოტ დივუარი, მათ შეუერთდებიან წინა გათამაშების გამარჯვებული ნიგერია და მასპინძელი — სამხრეთ აფრიკის ნაკრები, მერმისს, 13 იანვრიდან 3 თებერვლამდე ეს გუნდები გაითამაშებენ კონტინენტის თასს. თამაშები მოეწყობა ბლუმფონშტეინში, დაურბანში, იოჰანესბურგსა და პორტ-ელიზაბეთში.

● ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებას მიმართა: ამ ქვეყნის ცნობილი კლუბები „სევილია“ (მე-5 ადგილი ჩემპიონატში) და „სელტა“ (მე-13) პირველი დივიზიონიდან მესამეში გადაიყვანეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ კლუბებმა დანიშნული ვადისთვის (31 ივლისი) ფედერაციაში ვერ წარადგინეს საჭირო საფინანსო გარანტიები, სხვებმა კი ეს ყველაფერი დროზე გააკეთეს.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ეკვადორის დედაქალაქ კიტოში განაცხადა, რომ აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე 17 წლამდე ჭაბუკთა გუნდებს შორის, პირველად ასეთი მასშტაბიან შეჯიბრებაში გამოცდიან ორ ახალ წესს: დამატებით დროში თამაში შეწყდება ერთი რომელიმე მხარის მიერ პირველივე ბურთის გატანისას და, აგრეთვე, გუნდებს მიეცემათ ტაიმ-აუტების აღების საშუალება.

● იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ „ნაპოლის“ შეუნარჩუნეს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. ეს საკითხი განსახილველად იდგა კლუბის რთულ ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით.

● ჯაკარტის სტადიონზე ინდონეზიის ჩემპიონატის მატჩში „პერსიბსა“ და „პეტროკიმიას“ შორის, ერთ-ერთ ტრიბუნაზე შუშხუნის გასროლის შედეგად გაჩნდა ხანძარი, ერთი მაყურებელი დაიღუპა, 40 დაშავდა.

გიოტებორგი ● მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

## ნახტომი უკვდავებაში

გიოტებორგში, მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა ის, რასაც ხატოვნად მოაზროვნე ჟურნალისტები ფანტასტიკას უწოდებენ. ბრიტანელმა სამხტომელმა ჯონათან ედვარდსმა ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, პირველად, როცა 18,16 მეტრზე გადახტა, მეორედ, როცა ამ შედეგს 13 სანტიმეტრი ნაუმატა. ამიერიდან მსოფლიო რეკორდი სამხტომში 18 მეტრი და 29 სანტიმეტრია. საინტერესოა, რომ ორივე ცდის დროს ქარის სიძლიერე ნორმას არ აჭარბებდა — პლიუს 1,3 მეტრი წამში. ამავე დროს, შეგახსენებთ, რომ ორიოდე კვირით ადრე, ვილნევ დ'ასკში ჯონათან ედვარდსმა აჩვენა 18 მეტრი და 43 სანტიმეტრი, მაგრამ ქარის სიძლიერე მაშინ დასაშვებ ნორმას (2,0) აღემატებოდა.

## ჰაიკე დრეჰსლერი: მე მსოფლიო მაღიარებს, გერმანელების გული კი ვერ მოვიგე

სპორტსმენად. ეს ოხერი, მსოფლიომ მიმიღო და მაღიარებს, აი გერმანელების გული კი ვერ მოვიგე.

● **დღეს ბევრი სპორტსმენი რეკლამით ცხოვრობს. რა საქონელს უწევთ პროპაგანდას?**

— მე მიყვარს ლამაზი ტანსაცმელი და ვცდილობ ამ დარგში დავიმკვიდრო ადგილი. არც კოსმეტიკაზე ვამბობ უარს და სიამოვნებით ვაჯიბრებ ერთ ფირმას მეორეს. ამავე დროს ვიცი, რასაც არასდროს არ გავუწევ რეკლამას — სიგარეტსა და ალკოჰოლს. მილიონს მთავაზობდა ერთი ფირმა, რომ ჩემი სიტყვა უკან წამეღო, მაგრამ ვერაფრით ვერ დამითანხმეს.

● **ბოლო დროს ხშირად გხედავენ საზოგადოებაში, საამისოდ კი კარგი ჩაცმაა საჭირო.**

— ამ დარგში საიმედო მრჩევლები მყავს — ოჯახის წევრები.

● **ალბათ ძნელია ურთიერთობა ხალხთან, რომლებიც შენს წინაალმდეგ არიან განწყობილნი?**

— რა თქმა უნდა, ძნელია. მეტსაც გეტყვით, ნამდვილი ტანჯვაა. ზოგჯერ, ინტერვიუს დროს ისეთ შეკითხვას მაძლევენ, რომ სურვილი მაქვს ავდგე და მაგრად გამოვიჯახუნო კარები. მაგრამ ვიცი, ამით უფრო ჩემს თავს მოვუტან ვნებას და მორჩილად ვითმენ ყველაფერს, ვცდილობ არ შევიმჩნიო წყენა.

● **იქნებ უმჯობესია საუბარი თქვენთვის სასიამოვნო თემაზე გავაგრძელოთ, ვთქვათ, მძლეოსნობაზე. თქვენ დიდი ხანია მონაწილეობთ შეჯიბრებებში. არის თუ არა ზრდის პერსპექტივა? მხედველობაში მაქვს, ცხადია, სიგრძეზე ხტომა და არა სპრინტი.**

— ბოლო დროს საგრძნობლად გავაუმჯობესე გარბენის სისწრაფე. ადრე ერთ წამში 9,80 მეტრს გავრბოდი. ახლა იმავე დროს ათ და ცოტათი მეტ მეტრზე რბენას ვანდომებ. ერიხ დრეჰსლერი მეუბნება, რომ გამიჩნდა საკმაოდ კარგი და საიმედო პერსპექტივები. თანაც მარწმუნებს, რომ 7,40 მეტრი ჩემთვის ყოველდღიური შედეგი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო შორს გადახტომასაც შევძლებ.

● **მაგრამ იყო შემთხვევები, როცა 7 მეტრის დაძლევაც გაგჭირვებიათ?**

— წარუმატებლობის შემდეგ სახტომი სექტორიდან კაცი ვერ გამაგდებს. ვცდილობ გავიგო სად დავუშვი შეცდომა. როცა შვიდ მეტრს ვერ ვიმორჩილებ, იცოდეთ, სადღაც შეცდომა მაქვს დაშვებული.

● **დიდი შეჯიბრებების დროს ფიქრობთ თუ არა შედეგზე?**

— ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში შედეგები არ მაინტერესებს. იქ მთავარი გამარჯვებაა.

● **როდის აპირებთ სპორტიდან წასვლას?**

— თუ ტრავმა არ მივიღე, უსათუოდ გამოვალ ატლანტაში.

● **თქვენ ხუთი წლის ვაჟი გყავთ. დრო თუ გრჩებათ მასთან ურთიერთობისთვის?**

— ჩემი ვაჟიშვილის აღზრდას მთლიანად დედამთილი ხელმძღვანელობს, მაგრამ რაღაცას ოჯახისთვის მეც ვაკეთებ. ამიტომ ზოგჯერ შეჯიბრებაში დაღლილი გამოვდივარ.

● **თქვენს ხშირ არყოფნაზე ოჯახში თქვენი ვაჟიშვილი ჯერჯერობით ალბათ არ რეაგირებს. რა იქნება მერე?**

— როგორც კი შევატყობ, რომ ბავშვს ვჭირდები, მაშინვე დავანებებ თავს სპორტს.

მინაწერი. **ბევრი გაუგებარი რამ მოხდა გიოტებორგის მსოფლიო ჩემპიონატზე სიგრძეზე ხტომის სექტორში. პირველი და ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ის, რომ მთავარი ფავორიტები — ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-კერსი და ჰაიკე დრეჰსლერი ვერ მოხვდნენ პრიზიორთა შორის. ამერიკელმა 6,74 მ. დაძლია, რაც მხოლოდ მეექვსე შედეგი იყო, დრეჰსლერმა კი უარესი, IX ადგილი დაიკავა — 6,64 მ. მოულოდნელი იყო ისიც, რომ ჩემპიონი გახდა იტალიელი ფიონა მეი საკმაოდ მოკრძალებული შედეგით — 6,83 მ.**

მოამზადა თეა კაჭარავამ

## კროსვორდი



თარაზულად: 5. ოლიმპიურ კანონთა კრებული (6 ასოიანი); 6. დიდი შეჯიბრება წყალზე (6); 9. პარტია ჩოგბურთის თამაშში (4); 10. ქართული ეროვნული სპორტის სახეობა (4); 11. სპეციალური დანიშნულებით წარგზავნა (5); 14. დისტანციის მონაკვეთი (5); 16. ხერხი, ფანდი (5); 17. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი (6); 19. საფარიკაო იარაღი (6); 20. მეკარე — თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი (9); 25. მომღერალი, რომელმაც იტალიის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ჰიმნი შეასრულა (6); 26. იტალიის საფეხბურთო კლუბი (6); 27. ცნობილი უკრაინელი მძლეოსანი (5); 29. ცნობილი ქართველი მწერალი — მთამსვლელი. (5); 31. არგენტინელი ფეხბურთელი — ვეტერანი (5); 32. თბილისის „დინამოს" ყოფილი ნახევარმცველის ზედმეტსახელი (4); 33. ურთულესი მწვერვალი კავკასიონზე (4); 34. ქართული გამოცემა — სპორტული გაზეთის ყოფილი დამატება (6); 35. სარმა ანუ... (6);

შვეულად: 1. დისტანცია, მანძილი... (5); 2. ქალაქი, რომელმაც კეთილი ნების თამაშებს უმასპინძლა (6); 3. გამოჩენილი დიდოსტატი (6); 4. სპორტული ნავი (5); 7. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპრინტში (6); 8. ქალაქი, სადაც ჩატარდა თეთრი ოლიმპიადა (6); 12. ნარნარად, მდოვრედ ფრენა (4); 13. საქართველოს საფეხბურთო გუნდი (9); 15. მარსელის „ოლიმპიკის" ყოფილი პრეზიდენტი და მეპატრონე (4); 18. საქართველოს საკალათბურთო გუნდი (5); 19. კვადრატული ფორმის საასპარეზო (5); 21. ლეგენდარული ესპანელი მეკარე (6); 22. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა (4); 23. საჭადრაკო ფიგურა (4); 24. ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი სპრინტში (6); 27 ლეგენდარული სიგრძეზე მხტომელი (6); 28. თბილისის „დინამოს" მოწვეული ფეხბურთელი, 1978 წლის ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის მფლობელი (6); 30. საქართველოს რეგიონი, რომელიც საკუთარ საფეხბურთო ჩემპიონატს ატარებს (5); 31. მოფარიკავის იარაღი (5).

„ლელოს" 29-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **5. სოლინგი, 7. „ვერდერი", 8. ასკინკილა, 11. რგოლი, 12. ჰოკეი, 13. იაათი, 16. „უენესი", 17. ორიონი, 21. მარდი, 22. ტაიჩი, 23. „ეკიპი", 26. დრიბლინგი, 27. ედბერგი, 28. ტრანშეი.**

შვეულად: **1. სოლინგი, 2. კროსი, 3. სეული, 4. ტრიუმფი, 6. ბანაკი, 9. ალპინიადა, 10. პავლოვსკი, 14. ბესტი, 15. დერბი, 18. ნავარდი, 19. „კიოლნი", 20. სპიდვეი, 24. გროგი, 25. ეგერი.**

**ხელმოწერა «ლელოზე» გრძელდება!**

## უნიკალური მსოფლიო რეკორდი თუ საუკუნის ფარსი?

როგორც ვიუწყებოდით, სესტრიერში, ევროპაში ყველაზე მაღალმთიან სტადიონზე (2035 მ. ზღვის დონიდან) კუბელმა ივან პედროსომ (დაიბადა 1972 წლის 17 დეკემბერს ჰავანაში. სიმაღლე — 177 სმ, წონა-75 კგ) სიგრძეზე ხტომაში 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა მაიკ პაუელის (აშშ) მიერ 1991 წლის 30 აგვისტოს ტოკიოში დამყარებული მსოფლიო რეკორდი და აჩვენა 8,96 მ.

პედროსომ პირველ ცდაზე დაძლია 8,89 მეტრი (ზურგქარი დაშვებულ ნორმაზე მეტი იყო — 2,4) და ფინალში ასპარეზობის უფლება მიიღო. გადამწყვეტ სერიებში ორი ცდა გააფუჭა, მესამე კი სარეკორდო გამოდგა. ამ წარმატებისთვის კუბელმა მძლეოსანმა საჩუქრად მიიღო ფერარის მარკის ავტომანქანა, რომლის ოფიციალური ფასია 130 ათასი დოლარი. საინტერესოა, რომ მას მანქანა არასდროს ჰყოლია. ეს კი არა, მანქანის მართვის ნებართვაც არა აქვს.

ივან პედროსომ რბენა დაიწყო 12 წლის ასაკში რთულპროფილიან ტრასებზე (კროსში), მაგრამ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და შეწყვიტა ვარჯიში. მერე შეხვდა მწვრთნელს მილან მატოსს, რომელმაც შესთავაზა სპეციალობის შეცვლა და სიგრძეზე ხტომა დააწყებინა. 15 წლისა უკვე 7 მეტრზე უფრო შორს ხტებოდა, 18 წლისამ კი პირველად გადალახა 8 მეტრის ზღვარი. აი როგორ ვითარდებოდა მისი შედეგები წლიდან წლამდე: 1988 — 7,43; 1989 — 7,43; 1990 — 8,06; 1991 — 8,22; 1992 — 8,53; 1993 — 8,49; 1994 — 8,25; 1995 — 8,96. ბოლო პანამერიკულ თამაშებზე ივან პედროსი გადახტა 9,03 მეტრზე, მაგრამ ქარი ნორმით დაშვებულზე ძლიერი იყო და ეს შედეგი რეკორდად არ დაფიქსირდა.

აქ მთავრდება ახალი მსოფლიო რეკორდის პროზაული ისტორია და იწყება, ოღონდ თუ ოფიციალურად დადასტურდა, მისი კრიმინალური ნაწილი, რომელიც ისევ და ისევ ქარის სიძლიერესთანაა დაკავშირებული. საქმე ის გახლავთ, რომ იმ დღეს ქარი მთელი შეჯიბრების განმავლობაში ნორმაზე ძლიერი იყო, აი, მესამე ცდის დროს კი საეჭვოდ დაბალი — 1,2. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ეჭვებს ამ შემთხვევაში ამძაფრებს ის, რომ სარეკორდო ხტომის დროს ქარის საზომ აპარატთან იდგა ვილაც უცნობი მამაკაცი, რაც წესებით კატეგორიულად იკრძალება. ეს ფაქტი ვერ დაადასტურეს სატელევიზიო კამერებმა, სამაგიეროდ, ერთ-ერთი მოყვარულის კინოფირზე ყველაფერი ნათლადაა აღბეჭდილი.

ნახტომის შემდეგ პედროსომ განაცხადა, რომ ქარის საზომ აპარატთან მას არავინ დაუნახავს: „მე ვიდექი სტარტზე და ველოდი ქარის ჩადგომას" — თქვა მან. დაახლოებით იგივე განაცხადა მსაჯმა დენის მორინომ — არც მას შეუმჩნევია ვინმე აპარატთან. არადა, კინოფირი სულ სხვა სიტუაციას ხატავს და სწორედ ეს არის საეჭვო.

შეჯიბრების მეორე დღეს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დაიმონწმა ამავე ფედერაციის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს სიტყვები და თქვა, რომ რეკორდის დამტკიცების დროს დეტალურად შეისწავლიან მოყვარულის ვიდეოჩანაწერს და გადაწყვეტილებასაც ამის შემდეგ მიიღებენ.

## „ბოტევი" (ბულგარეთი) — „დინამო" (თბილისი) 1-0 (1-0)

პლოვდივი. ხრისტო ბოტევის სტადიონი. 7 000 მაყურებელი.

„ბოტევი": მიხაილოვი, ლუკოვი (ა. პეტროვი), გ. პეტროვი, დიმიტროვი, შოპოვი, სივინოვი, კიტანჩაევი, (გემენკიევი), მარკოვი, გეროვი, პ. პეტროვი, ვიდოლოვი.

„დინამო": ზოიძე, დემეტრაძე (კალაძე), კობიაშვილი, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, კაჭარავა, ხომერიკი, გახოკიძე (ცაავა).

მსაჯი — ნიკაკისი (საბერძნეთი).

გააფრთხილეს: დიმიტროვი, ცქიტიშვილი, კაჭარავა, კობიაშვილი.

მეტოქის მინდორზე მინიმალური ანგარიშით წაგებული თამაში შემდგომ მატჩში წარმატების გარკვეულ პერსპექტივას ქმნის. დინამოელებმაც სწორედ მინიმალური ანგარიშით წააგეს პლოვდივში, გოლი ტაიმის მიწურულს, 45-ე წუთზე გაიტანა გეროვმა.

* * *

„ვარდარმა" (მაკედონია) სკოპლეს სტადიონზე, 10 000 მაყურებლის თანდასწრებით, ასევე მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა „სამტრედიასთან". ერთადერთი ბურთი ნიკოლოვსკიმ გაიტანა მე-8 წუთზე.

სამტრედიელთა შემადგენლობა: ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ბერაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ტყავაძე, გ. დარასელია, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე.

* * *

### UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა თასი

„გრასჰოპერსი" (ციურიხი, შვეიცარია) — „მაკაბი" (თელ-ავივი, ისრაელი) 1-1; „რეინჯერსი" (გლაზგო, შოტლანდია) — „ანორთოსისი" (ფამაგუსტა, კვიპროსი) 1-0; „ლეგია" (ვარშავა, პოლონეთი) — „გეტებორგი" (შვეცია) 1-0; „კაზინო" (ზალცბურგი, ავსტრია) — „სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი) 0-0; „დინამო" (კიევი, უკრაინა) — „ოლბორგი" (დანია) 1-0; „რუსენბორგი" (ნორვეგია) — „ბეშიქთაში" (სტამბული, თურქეთი) 3-0; „ანდერლეჰტი" (ბრიუსელი, ბელგია) — „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 0-1; „პანათინაიკოსი" (ათენი, საბერძნეთი) — „ჰაიდუკი" (სპლიტი, ხორვატია) 0-0.

საპასუხო შეხვედრები გაიმართება 23 აგვისტოს.

თასების მფლობელთა თასი

„ობილიჩი" (იუგოსლავია) — „დინამო" (ბათუმი, საქართველო) 0-1; „ტილიგული" (ტირასპოლი, მოლდოვა) — „სიონი" (შვეიცარია) 0-0; „ვაც სამსუნგი" (უნგრეთი) — „სილექსი" (მაკედონია) 1-1; „ტურკუ" (ფინეთი) — „ტეუტა" (დურესი, ალბანეთი) 1-0; „ვადუცი" (ლიხტენშტეინი) — „გრადეც კრალოვე" (ჩეხეთი) 0-5; „აპოელი" (ნიქოზია, კვიპროსი) — „ნეფთჩი" (ბაქო, აზერბაიჯანი) 3-0; „რექსჰემ იუნაიტედი" (უელსი) — „პეტროლული" (პლოეშტი, რუმინეთი) 0-0; „ლა-ვალეტა" (მალტა) — „ინტერი" (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 0-0; „შახტიორი" (დონეცკი, უკრაინა) — „ლინფილდი" (ბელფასტი, ჩრ. ირლანდია) 4-1; გკს (კატოვიცე, პოლონეთი) — „არარატი" (ერევანი, სომხეთი) 2-0; „დერი სიტი" (ირლანდია) — „ლოკომოტივი" (სოფია, ბულგარეთი) 1-0; „მაკაბი" (ჰაიფა, ისრაელი) — „კლაკსვიკარი" (კლაკსვიკი, ფარერი) 4-0; „დინამო-93" (მინსკი, ბელარუსი) — „მოლდე" (ნორვეგია) 1-1; „გრევენმაჰერი" (ლუქსემბურგი) — „რეიკიავიკი" (ისლანდია) 3-2; დ. ა. გ. (ლიეპაია, ლატვია) — „ლანტანა" (ესტონეთი) 1-2; „ჟალგირისი" (ვილნიუსი, ლიტვა) — „მურა" (მურსკა-სობოტა, სლოვენია) 2-0.

საპასუხო მატჩები — 24 აგვისტოს.

უეფას თასი

„ბოტევი" (პლოვდივი, ბულგარეთი) — „დინამო" (თბილისი, საქართველო) 1-0; „ვარდარი" (სკოპლე, მაკედონია) — „სამტრედია" (საქართველო) 1-0; „ერებრუ" (შვეცია) — „ავენირი" (ბეგენი, ლუქსემბურგი) 0-0; ტპვ (ტამპერე, ფინეთი) — „ვიკინგი" (სტავანგერი, ნორვეგია) 0-4; „ბანგორ სიტი" (უელსი) — „ვიძევი" (ლოძი, პოლონეთი) 0-4; „შელაბურნი" (ირლანდია) — „აკრანესი" (ისლანდია) 0-3; „გლენავონსი" (ჩრ. ირლანდია) — ჰ. ბ. (ტორსჰაგენი, ფარერი) 0-0; „ბრონდბიუ" (დანია) — „ინკარას-გრიდასი" (ლატვია) 3-0; „ლილესტრიომი" (ნორვეგია) — „ფლორა" (ტალინი, ესტონეთი) 4-0; „მოტერუ" (შოტლანდია) — „მიუპა" (ფინეთი) 1-3; „სკონტო" (რიგა, ლატვია) — „ბრანიკი" (ბრანიკი, სლოვენია) 1-0; „შტურმი" (გრაცი, ავსტრია) — „სლავია" (პრაღა, ჩეხეთი) 0-1; „ჟენესი" (ეში, ლუქსემბურგი) — „ლუგანო" (შვეიცარია) 0-0; „სლოვანი" (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — „ოსიეკი" (ხორვატია) 4-0; „დანდალკი" (ირლანდია) — „მალმიო" (შვეცია) 0-2; „კრუზიდერსი" (ჩრ. ირლანდია) — „სილკებორგი" (დანია) 1-2; „ეფან ლიდი" (პორტ ტალბოტი, უელსი) — რ. ა. ფ. (რიგა, ლატვია) 1-2; „რაიტი" (შოტლანდია) — „გო ოტუ" (ფარერი) 4-0; „სლავია" (სოფია, ბულგარეთი) — „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი, საბერძნეთი) 0-2; „ზიმბრუ" (კიშინიოვი, მოლდოვა) — „აპოელი" (თელ-ავივი, ისრაელი) 2-0; „სპარტა" (პრაღა, ჩეხეთი) — „გალათასარაი" (სტამბული, თურქეთი) 3-1; „ომონია" (ნიქოზია, კვიპროსი) — „შლემა უონდერერსი" (მალტა) 3-0; „კოშიცე" (სლოვაკეთი) — „უიპეშტი" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 0-1; „უნივერსიტატია" (კრაიოვა, რუმინეთი) — „დინამო" (მინსკი, ბელარუსი) 0-0; „ფენერბახჩე" (სტამბული, თურქეთი) — „პარტიზანი" (ტირანა, ალბანეთი) 2-0; „აპოლონი" (ათენი, საბერძნეთი) — „ოლიმპია" (ლიუბლიანა, სლოვენია) 1-0; „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ქსამაქსი" (ნევშატელი, შვეიცარია) 0-1; „ჰიბერნიანსი" (მალტა) — „ჩერნომორეცი" (ოდესა, უკრაინა) 2-5; „ქიაფაზი" (განჯა, აზერბაიჯანი) — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია) 0-4; „ტირანა" (ალბანეთი) — „აპოელი" (ბეერშევა, ისრაელი) 0-1; „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ლევსკი" (სოფია, ბულგარეთი) 0-1; „ზაგლემბე" (ლიუბლინი, პოლონეთი) — „შირაკი" (ერევანი, სომხეთი) 0-0.

საპასუხო მატჩები — 22 აგვისტოს.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.